



5428-15-13-2-202006030913



N 15-13/5428

03/06/2020

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ქალბატონ თეა წულუკიანს

№2 პენიტენციური დაწესებულების დირექტორს
ბატონ ზურაბ ნინიაშვილს

წინადადება

№2 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის [REDACTED] საშიშროების რისკის გადაფასებისა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ქალბატონო თეა,

ბატონო ზურაბ,

საქართველოს სახალხო დამცველს №13447/19 განცხადებით მომართა №2 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულმა მსჯავრდებულმა [REDACTED] რომელიც მიუთითებდა, რომ მას არასწორი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე განესაზღვრა საშიშროების მომეტებული რისკის სახე.

ფაქტობრივი გარემოებები

[REDACTED] განმარტებითა და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების გუნდის მიერ, 2019 წლის 6 აგვისტოს განესაზღვრა მომეტებული რისკის სახე, რასაც მსჯავრდებული არ ეთანხმება შემდეგ გარემოებათა გამო:

- მსჯავრდებულთა რისკების შეფასების გუნდის 2019 წლის 6 აგვისტოს სხდომის ოქმში (ამონაწერის მიხედვით) მითითებული არ არის, რომ [REDACTED] მიმართ გამოყენებული იყო წახალისება;
- სხდომის ოქმში მითითებულია, რომ [REDACTED] არ აქვს სარეაბილიტაციო/რესოციალიზაციის პროგრამებში მონაწილეობის სურვილი, რაც მსჯავრდებულის განმარტებით ასევე არ შეესაბამება რეალობას, რადგანაც 2016-2018 წლებში მონაწილეობდა რამდენიმე პროგრამაში და ამჟამადაც გააჩნია პროგრამებში ჩართვის სურვილი;
- სხდომის ოქმში აღნიშნულია ასევე, რომ მსჯავრდებულს არ აქვს მუშაობის სურვილი. სახალხო დამცველთან რწმუნებულთან საუბრის დროს [REDACTED] არაერთხელ აღნიშნა, რომ სურვილის მიუხედავად, №2 პენიტენციურ დაწესებულებაში მისი მუშაობის შესაძლებლობას გამორიცხავს დაწესებულების ინფრასტრუქტურა (მსჯავრდებული შუშ პირია და გადაადგილდება მხოლოდ ეტლის მეშვეობით).

მსჯავრდებულის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა №15-13/12336 წერილით მიმართა №2 პენიტენციურ დაწესებულებას.

№2 პენიტენციური დაწესებულებიდან მიღებული №348823/01 პასუხით, სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ მსჯავრდებულის მიერ დაფიქსირებული ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამებოდა, კერძოდ:

- მსჯავრდებული სასჯელის მოხდის პერიოდში წახალისებული იყო სამჯერ;
- №2 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს [REDACTED], სასჯელის მოხდის პერიოდში პირად საქმეში არსებული მონაცემებით, 2015 წელს მიღებული აქვს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამაში „მავნე ნივთიერებები და მათზე დამოკიდებულება“;
- №2 პენიტენციურ დაწესებულებაში ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, დღეის მდგომარეობით შესაძლებელი არ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დაწესებულების სამეურნეო სამსახურში ჩარიცხვა.

სამართლებრივი დასაბუთება

თავისუფლების აღკვეთის აღსრულების პროცესში მსჯავრდებულთა რისკის შეფასება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელზეც დამოკიდებულია როგორც მსჯავრდებულის შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსება და სასჯელის მოხდის პირობები, ასევე მსჯავრდებულის უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული სხვა არსებითი საკითხები.

მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის სახეებს, შეფასების/გადაფასების წესსა და რისკის შეფასების კრიტერიუმებს, განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება. ბრძანების თანახმად, მსჯავრდებულის საშიშროების რისკის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მსჯავრდებულისგან მომდინარე საშიშროება, რომელიც განისაზღვრება, მათ შორის, შემდეგი კრიტერიუმების შეფასების საფუძველზე:

- დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა;¹
- დაწესებულებაში არსებულ სარეაბილიტაციო/რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართულობა;²
- წახალისების/დისციპლინური სახდელის/დისციპლინური პატიმრობის გამოყენების ფაქტი.³

თანასწორობის უფლება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი კანონის მიზანს განსაზღვრავს, რაც მდგომარეობს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრასა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფაში რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, მათ შორის, როდესაც პირს ხელი ეშლება *საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას, არსებობს თანაბარი მოპყრობა განსხვავებულ პირობებში მყოფი პირების მიმართ*, არ არსებობს *კანონით განსაზღვრული მიზანი*, თანაბარ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი *დასახული მიზნის არათანაზომიერია*.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, კონვენციის პრინციპია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსხვავებულობებისადმი პატივისცემა და მათი აღიარება ადამიანთა შორის არსებული განსხვავებულობის შემადგენელ ნაწილად. შესაბამისად, კონვენცია ადგენს, რომ სახელმწიფო და საზოგადოება ვალდებულია, პატივი სცეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების **სპეციფიურ საჭიროებებს** და უზრუნველყოს შესაბამისი გარემო, რათა შეზღუდული

¹ „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის, გადაყვანის პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 8 მაისის №395 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

² იქვე, „პ“ ქვეპუნქტი.

³ იქვე, „რ“ ქვეპუნქტი.

შესაძლებლობის მქონე პირებმა სხვებთან თანასწორ პირობებში შეძლონ საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნული მიდგომა გამოიყენა საქმეში, სადაც განიხილებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის შემთხვევა, რამდენადაც, სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ისინი იმყოფებიან განსხვავებულ მდგომარეობაში და ესაჭიროებათ განსხვავებული მოპყრობა.⁴ სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციას ასევე წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც არ ხდება იმ პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა, რომელთა მდგომარეობაც არსებითად განსხვავებულია და თანაბარი მოპყრობისთვის არ არსებობს ობიექტური და გონივრული გამართლება.⁵

წინამდებარე საქმის ანალიზი

მსჯავრდებულ [REDACTED] საშიშროების რისკის შეფასების საკითხის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ რისკების შეფასების გუნდმა არასწორად და არასრულყოფილად შეაფასა მონაცემები მსჯავრდებულის წახალისებისა და სარეაბილიტაციო/რესოციალიზაციის პროგრამაში მისი ჩართულობის შესახებ. ასევე, არასწორად განაალიზდა ინფორმაცია მისი დაწესებულებაში მუშაობის საკითხთან დაკავშირებით.

გარემოებები, რომლებიც [REDACTED] საშიშროების რისკის შეფასებისას არასწორად იყო მითითებული, მინისტრის ბრძანების შესაბამისად, ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენს მსჯავრდებულის რისკის შეფასებისა და მისი უფლებრივი მდგომარეობის განსაზღვრისას⁶. ამან, მაღალი ალბათობით, გავლენა იქონია საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე - კონკრეტული რისკის სახის განსაზღვრაზე, რამაც კანონმდებლობის შესაბამისად, ავტომატურად გამოიწვია რიგი უფლებების შეზღუდვა.⁷

მსჯავრდებულის საშიშროების რისკის შეფასების საკითხის შესწავლის შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ რისკების შეფასების გუნდმა არ გაითვალისწინა მსჯავრდებულის ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები. კერძოდ, მისი შეფასების საფუძვლად გამოყენებული კრიტერიუმები [REDACTED] არათანაბარ მდგომარეობაში აყენებდა სხვა მსჯავრდებულებთან შედარებით.

მსჯავრდებულთა რისკების შეფასების გუნდის 2019 წლის 6 აგვისტოს სხდომის ოქმში ერთი მხრივ, აღნიშნულია, რომ [REDACTED] არ აქვს მუშაობის სურვილი. ხოლო, მეორე მხრივ, №2 პენიტენციური დაწესებულებიდან მიღებული №348823/01 პასუხით, სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, დღეის მდგომარეობით, შესაძლებელი არ

⁴ ECtHR, Guberina v. Croatia, no. 23682/13, 22/03/2016, §70

⁵ ECtHR, Thlimmenos v. Greece, no. 34369/97, 06/04/2000, §44

⁶ „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის, გადაყვანის პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 8 მაისის №395 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის „პ“ და „რ“ ქვეპუნქტები.

⁷ ხანმოკლე/ხანგრძლივი პაემნების რაოდენობა, სატელეფონო კომუნიკაციის ლიმიტი, დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილება და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებები.

არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დაწესებულების სამეურნეო სამსახურში ჩარიცხვა.

სახალხო დამცველი განმარტავს, რომ ვინაიდან [REDACTED] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია, არსებული ზოგადი წესი მას არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით. შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის პირობებში, რაც შეუძლებელს ხდის [REDACTED] დასაქმებას, ხსენებული კრიტერიუმი არ უნდა დაედოს საფუძვლად აღნიშნული მსჯავრდებულის რისკების შეფასებას. ვინაიდან, დისკრიმინაციას ასევე წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც არ ხდება იმ პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა, რომელთა მდგომარეობაც არსებითად განსხვავებულია და თანაბარი მოპყრობისთვის არ არსებობს ობიექტური და გონივრული გამართლება.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული წესის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საშიშროების რისკის სახის სავარაუდო ცვლილების დადგენის მიზნით, გუნდი უზრუნველყოფს უკვე შეფასებულ მსჯავრდებულთა პერიოდულ გადაფასებას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საშიშროების მომეტებული რისკის დადგენის შემთხვევაში, მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის გადაფასება ხორციელდება რისკის დადგენიდან არაუგვიანეს 18 თვისა. თუმცა, შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების დირექტორის დასაბუთებული წერილობითი მიმართვის საფუძველზე პროცედურის დაწყება ასევე შესაძლებელია ამ ვადის დაუცველად განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც მკვეთრად შეიცვალა მსჯავრდებულის ქცევა ან სხვა გარემო პირობები ან/და მსჯავრდებულის იმავე ტიპის დაწესებულებაში დატოვება გაუმართლებელია.

შესაბამისად, მსჯავრდებულის საშიშროების რისკის ხელახალი შეფასება უნდა განხორციელდეს რაც შეიძლება მალე, რათა მულტიდისციპლინურმა გუნდმა ობიექტური გარემოებების სრულყოფილი ანალიზის შედეგად სწორად შეაფასოს მსჯავრდებულის რისკი.

დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით:

ქალბატონო თეა,

- დაიწყოთ დისციპლინური საქმისწარმოება სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესაბამისი უფლებამოსილი პირების წინააღმდეგ, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას, [REDACTED] დაკავშირებული გარემოებების არასრულყოფილ შესწავლა/შეფასებას და მიიღოთ კანონშესაბამისი გადაწყვეტილება;

- მსჯავრდებულთა რისკების შეფასების გუნდმა მომავალში გაითვალისწინოს შშმ პირთა განსაკუთრებული საჭიროებები და მსჯავრდებულთა შეფასებისას არ გამოიყენოს ისეთი კრიტერიუმები, რაც მათ არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებს სხვა მსჯავრდებულებთან შედარებით.

ბატონო ზურაბ,

ზემოაღნიშნული გარემოებების საფუძველზე, ვინაიდან სახეზეა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ უფლებამოსილების სავარაუდო არაჯეროვანი განხორციელება, რამაც შესაძლოა არსებითად დააზიანა მსჯავრდებულ [REDACTED] კანონიერი ინტერესები და შესაძლოა მსჯავრდებულის ამავე ტიპის დაწესებულებაში დატოვება გაუმართლებელი იყოს, მოგმართავთ, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრული გეგმიური ვადის დაუცველად, მიმართოთ მულტიდისციპლინურ გუნდს [REDACTED] რისკის გადაფასების მიზნით.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართი: 6 (ექვსი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

ბ- 

